საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-49

21/01/2020

ქ. თბილისი

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“ 5 500 m^3 ტევადობის (20 000 ტ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის ფუნქციონირებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 13 იანვარს სამინისტროს მომართა შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2009 წელს სამინისტროს მიერ შპს „ეარ ვისოლის“ (ს/ნ: 205182817) 5 500 m^3 ტევადობის (20 000 ტ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზაზე გაცემულია №33 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (10.03.2009) და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. ვინაიდან 2010 წელს მოხდა შპს „ეარ ვისოლის“ შერწყმა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთან“, 2017 წელს სანებართვო მოწმობა გაიცა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიაზე“. 2017 წელს ზემოაღნიშნული ნებართვა კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასგან“ გადაეცა შპს „ეარ ვისოლს“ (ს/ნ: 405208216). 2018 წელს შპს „ეარ ვისოლმა“ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ჩამოყალიბდა შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“ სახელით, რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2009 წლის №33 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „ეარ ვისოლი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №ი-177 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2009 წლის №33 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“ 5 500 $მ^3$ ტევადობის (20 000 ტ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის ფუნქციონირებაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №33; 10.03.2009);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ეარ ვისოლი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №ი-177 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი